შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ნაშრომი შესრულებული სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: გიორგი გუგუშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია ----------3

Annotation----------4

შესავალი----------5

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 8

1.1 ქვეყანაში არსებული ბიზნესის მარეგულირებელი

კანონმდებლობის აღქმა---------- 9

1.2 სამეწარმეო სამართლის ცნება ----------11

1.3 შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოება

საქართველოს ასპექტში ----------14

თავი II შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებითი ანალიზი და მართვის ორგანოები ---------- 18

2.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც

კორპორაცია და მეწარმეობა ---------- 19

2.2 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კერძო და საჯარო სამართლებრივ ასპექტებში ---------- 22

2.3 შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ---------- 24

თავი III. შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ანალიზი როგორც საკანონმდებლო რეფორმა ----------27

3.1 გერმანიისა და რუსეთის შედარებითი ანალიზი შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოების სამართალში ---------- 28

3.2 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ევროპული და ამერიკული

შედარებით სამართლებრივი ანალიზი ----------34

დასკვნა ----------37

გამოყენებითი ლიტერატურა ----------40

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და მის გარშემო კვლევასა და ანალიზს, როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების მიერ შემოთავაზებული მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების თუ კანონმდებლობით მიღებული რეგულაციების მიხედვით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ცნობილია აბრევიუატურით შპს) მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სამეწარმეო ფორმად, რომლის ჩამოყალიბების მიზეზი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე იყოს, ყველაზე აღსანიშნავი კი არის მისი სიმარტივე სამართლებრივი კუთხით. ეს არის საზოგადოება რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა კონკრეტული კრედიტორების წინაშე.

ვინაიდან, როგორც საქართველოში ასევე სხვა განვითარებად ქვეყნებში მეწარმეთა საკანონმდებლო რეგულაციები მუდმივად ცვალებადია, ნაშრომში განხილული იქნება მიმდინარედ მიღებული კანონები და გამონაკლისები, ასევე მათ ირგვლივ საკანონმდებლო და სასამართლო პრაკტიკაში არსებული შემთხვევები სადაც ნათლად დავინახავთ შპს-ს დადებით და უარყოფით მხარეებს სამეწარმეო კანონმდებლობის თვალსაზრისით.

Annotation

This work is dedicated to a limited liability company and its research and analysis in accordance with similar distinctive features proposed by Georgia and other countries, or regulatory enactments adopted by law.

A limited liability company (known abbreviated as LLC) is considered one of the most common forms of entrepreneurship, the reason for which may be several, but the most noticeable is its simplicity in legal terms. This is a company that is responsible to certain lenders.

As the legislative standards of entrepreneurs in Georgia and other developing countries are constantly changing, the document will discuss current laws and exceptions, as well as cases in legislative and judicial practice around them, where we will clearly see the pros and cons of LLC from the point of view of business legislation.

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის ინტერესებშია შექმნას ან ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში რომელსაც სტაბილური და მზარდი შემოსავალი ექნება. სწორედ ამიტომ კერძო პირები აყალიბებენ ბიზნესებს და ცდილობენ დამიკვიდრონ თავი ბაზარზე, გახდნენ მაქსიმალურად ცნობადები და უმოკლეს პერიოდში ჰქონდეთ გაზრდის პერსპექტივა. ყოველივე ეს დაკავშირებულია სპეციპიურ დაგეგმვაზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პუნქტებს, რომლებსაც გააჩნიათ ქვე პუნქტებიც რომლებიც არანაკლებ გასათვალისწინებელია. ცხადია, ერთ-ერთი წამყვანი როლი ამა თუ იმ საქმიანობის წამოწყებისას სამართლებრივი პუნქტების დაცვას უჭირავს, რაც რეალურად, ამა თუ იმ პირს აკისრებს მთელ რიგ პასუხისმგებლობას კანონის წინაშე.

დღევანდელ დღეს სამეწარმეო საქმიანობის და ყველა სამართლებრივი ერთიერთობების დახვეწა და განვითარება უფრო მეტად არის აქტუალური ვიდრე წინა საუკუნეებში. ცხადია კაცობრიობა კანონის გარეშე არ არსებობდა, მაგრამ იგი მუდმივად ცვალებადი იყო და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა უსამართლოც.

მეწარმეთა შესახებ კანონის იდეა 1993 წელს გაჩნდა. განხილვა და ამ თემასთან დაკავშირებით მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე მიმდინარეობდა. რეალურად ეს იდეა უკვე დიდიხანს არსებობდა შედარებით სახეცვლილი ფორმით რაც კომერციული ანუ სამეწარმეო იურიდიული პირების შესახებ ერთიანი კანონის შემუშავებას გულისხმობდა[1].

ბოლო პერიოდში საქართველოში ჩატარებულმა ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის რეფორმებმა, შეიძლება ითქვას უფრო მეტად შეუწყო ხელი მეწარმეობის სამართლეებრივი რეგულაციების ერთიანი სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებას.

ქართული სამეწარმეო სამართალი უფრო მეტად დახვეწილი და რეალისტურია დღევანდელ დღეს. მეწარმეთა შესახებ მიღებული კანონი, რომელიც 1994 წელს მიიღეს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლის შემსრულებელია როგორც თავად

[1] ჭანტურია ლ. კანონი მეწარმეთა შესახებ. გვ 33

კანონმდებლობის რეგულაციების განვითარებაში ასევე საქართველოს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე სამეწარმეო ურთიერთობებზე დაყრდნობით.

თემის აქტუალობა მდგომარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (ანუ შპს-ს) საკანონმდებლო პრინციპების განმარტვაში და მის გარშემო არსებული, პრაქტიკაში მიღებული რეგულაციების განხილვაში როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. ცნობილია რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბება საკმაოდ მარტივი იყო, ვინაიდან ასე თუ ისე მაინც ლიბერალურ პორმად მიიჩნეოდა, სწორედ ამიტომაც შპს-ს მიმართ ინტერესი ყოველთვის ჭარბი იყო.

მიუხედავად იმისა რომ თავად შპს-ს, როგორც ცნების ფორმულირება სრულყოფილი არ არის, ნაშრომში განხილული იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების თავისებურებების განხილვა. ამასთანავე იგი წარმოადგენს გერმანელი კანონმდებლების მიერ შექმნის სამართლებრივ ფორმას, რომელიც დღეს დამოუკიდებელი ფორმით არსებობს და საკორპორაციო სამართლის ნათელი მაგალითია სამეწარმეო საზოგადოებისათვის[2]. როდესაც ვამბობთ რომ კანონი შეიქმნა გერმანელი კანონმდებლების მიერ ეს არ ნიშნავს იმას რომ კანონი გერმანულია და რთულად ადაპტირდება ქართულ რეალობაში, ასეთი ფორმულირება ცხადია არ არის სწორი. იგი ემყარება ევროპის კონსტიტუციურ სამართლებრივ კანონებს და მის ძირითად პრინციპებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ის საზოგადოება, რომელსაც გააჩნია პასუხისმგებლობა თავისი კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით, როგორც ერთი კონკრეტული პირის, ასევე ერთდროულად რამდენიმე პირის მხრიდან, ხოლო კანონმდებლობით ეს დამტკიცებულია მეწარმეთა კანონის 44-ე მუხლით[3]. ნაშრომის მიზანია განვიხილოთ მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეგულაციების ყველა ასპექტი რომელიც ეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, რომელიც ქართული რეალობისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება და რელევანტურია.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ყველაზე აქტიურად განხილვადი ინსტიტუტია და მოცემული ნაშრომი, სწორედ ამ

[2] ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ნაწილი. გვ 296
[3] საქქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

ფუნდამენტური საკითხის სისტემათა შედარებით ჭრილში ანუ გამოიკვეთოს შეზღუდული პასუხისმგებლობი, როგორც სამართლის მთავარი პრინციპის არსი. ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებს“[4], მაგრამ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი პარტნიორი ვერ იქნება. სისხლის სამართლის კოდექსი არ არის შესაბამისობაში იმ ფორმასთან, რასაც ,,შეზღუდული პასუხისმგებლობა“ ეწოდება და კანონმდებლობაში მკაფიოდ არ არის გავლებული ის ზღვარი, რომელიც გამორიცხავს მსგავს შემთხვევებში საზოგადოების პარტნიორის იძულებას პასუხისმგებლობაზე[5].

შედარებით სამართლებრივ ანალიზში, როგორც ქართული, ასევე თანამედროვე განვითარებული ქვეყნების სამართალს დიდი ადგილი აქვს დათმობილი, ხოლო პრაქტიკა და საკანონმდებლო ნოვაციები ერთმანეთთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, სადაც პირველი ნაბიჯები სწორედ სამეცნიერო კვლევამ უნდა გადადგას.

[4] კანონი „მექარმეთა შესახებ“ მუხლი 2.1

[5] ინტერვიუ პროფესორ როინ მიგრიაულთან. 2011 წელი.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

თემაზე მუშაობისას ჩნდება საკმაოდ ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც გარკვეულწილად ძირეულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნებაში. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით მარტივი აღსაქმელია შპს-ს სტრუქტურა და ცნების არსი, ვეყრებით ისეთ პრობლემებს და საკითხებს რომელიც ქართული საკანონმდებლო პრაქტიკაში გვხვდება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს რეგულაციების შემოღება ან თუნდაც შეცვლა. კვლევისას მაქსიმალური ყურადღება ექცევა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფოების შედარება და როგორც ქართველი ასევე უცხოელი მეცნიერების შეხედულებების დაფიქსირება ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

არსებობს არა ერთი პუბლიკაცია, სადაც მკვლევარები აფიქსირებენ შეედულებებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივ რეგულაციებთან და კვლევებთან დაკავშირებით.

ნაშრომის წერისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ლადო ჭანტურიას სამართლებრივ ლიტერატურას, ასევე ქეთევან ქოქრაშვილისა და როინ მიგრიაულის შეხედულებებსა და კვლევებს ამ თემის გარშემო.

სწორედ ლადო ჭანტურიას დაკვირვებით უფრო სიღრმისეულად მოხდა გამოკვლევა საქართველოში კანონის „ მეწარმეთა შესახებ“, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს პარლამენტმა 1994 წელს მიიღო. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ისტორიში ეს გახდა პირველი კანონი კერძო სამართალში, რომელმაც ძირეულად შეცვალა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სვლა და აიყვანა საერთაშორისო სტანდარტებზე.

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ ზოგად ნაწილში ხაზი ესმევა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს რომელიც აუცილებელი პირობით უნდა იყოს გათვალისწინებული და შესრულებული. ეს შეიძლება იყოს: რეგისტრაცია, ფირმად ჩამოყალიბება ანუ სახელწოდების მინიჭება, წარმოშობა, ხელმძღვანელობა, საბუღალტრო

არიცხვა და ანგარიში, ფილიალების დაარსების შემთხვევაში რეგისტრაცია და საზოგადოების რეორგანიზაცია და ა.შ.

კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“ აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს. მიღებული კანონის ეს ზოგადი ნაჭილი შეიძლება ითქვას არის ერთგვარი მარეგულირებელი და მომწესრიგებელი იმ საკითხებისა, რომლებიც ყველა სახით საქარმოსთვის ერთიანი მოქმედებით უნდა შემუშავდეს. მაგალითად: საწარმოს წარმოშობა, ხელმძღვანელობა და წარმომავლობა, ლიკვიდაცია და ა.შ.

კანონის მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

1.1 ქვეყანაში არსებული ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღქმა

კანონი, რომელიც საქართველოში სამართლებრივად პირველად განმტკიცდა სამეწარმეო საზოგადოებაში, იყო კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 1991 წლის 25 ივლისს.[6] შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი სტატუსი საქართველოში განისაზღვრა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონის მე-11 და მე-15 მუხლებში, უნდა აღინიშნოს რომ მას ქართულ ენაზე მოკლე კომენტარებიც მიეძღვნა, ხოლო კანონის 44-ე მუხლში განმტკიცებულია მისი განმარტება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიო გლობალიზაციისკენ მიდის და თითოეული რეფორმა კაცობრიობაზე უდიდეს ნიშულს ტოვებს. როგორც ჰუმანიტარულმა, ასევე სოციალურმა და ტექნიკურმა მეცნიერებებმა უამრავი რეფორმა

[6]ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში

გაიარა მანამ, სანამ მრავალჯერ სახეცვლილი მოვიდოდა ჩვენამდე. ეს იყო ადამიანების მიერ უდიდესი შრომის შედეგი.

,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონი აშკარად ცდილობს, ამომწურავად მოაწესრიგოს ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპზე და ამ გზით გახადოს კანონი ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი. იგი აერთიანებს სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც გერმანიაში მოწესრიგებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, როგორიცაა: სავაჭრო კოდექსი, კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ და კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ.

ყველა ის წესი და კანონი, რომლებსაც ჩვენ დღეს ვიყენებთ და რომელთა მიხედვითაც ვაყენებთ წესრიგს არის თანმიმდევრული განვითარების შედეგი. საკანონმდებლო ორგანოებმა თავისი განვითარების გზაზე ბევრი რეფორმა განიცადა იმისათავის, რომ დღეს სრულფასოვანი და დახვეწილი ყოფილიყო. დროთა განმავლობაში ადამიანებს უჩვნებათ უფრო მეტის განცდა და შესაბამისად მოთხოვნებთან ერთად მოთხოვნილებებიც იზრდება. იქმნება უამრავი კერძო ბიზნესი რასაც ხარისხიანი რეგულირება სჭირდება საკანონმდებლო ორგაოების მხრიდან. ბიზნეს საქმიანობის დაწყება და საკუთარი სტაბილური შემოსავლის ქონა და ამ სფეროთი გაზრდა ცხადია თითქმის ყველა ადამიანს სურს. ამისათვის კი მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი, მისი წარმატებით განხორციელებას რიგი საკითხების სწორად დაგეგმვა-გადაწყვეტა სჭირდება, მათ შორის, კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არის ის, რომ საქმე სამართლებრივად გამართული და დახვეწილი იყოს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დამოუკიდებელი სამართლებრივი მეცნიერების განვითარება და მდიდარი ტრადიციების ჩამოყალიბება მეტწილად ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისტორიითაა განპირობებული, ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობას სახელმწიფოებრივი ცხოვრების ძალიან ცოტა გამოცდილება აქვს და სავსებით მისაღებია ის ფაქტი, რომ ქვეყნის განვითარება განსაზღვრული იყო იმ ქვეყნის განვითარების დონით, რომლის გავლენის ქვეშაც თავად იმყოფებოდა.[7] აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის, როგორც პირთა ურთიერთობის უდიდესი ნაწილის მომწესრიგებელი მექანიზმისთვის, პასუხისმგებლობის საკითხი ერთ-ერთი ურთულესი და მრავალწახნაგოვანი თემაა. მოგების მიღებაზე ორიენტირებულ ურთიერთობებში ყველაფერი დაყვანილია ციფრების დონეზეა და სწორედ ამიტომ ამ ტიპის ურთიერთობათა მონაწილეები

[7]ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005 წელი 8 1გვ.

ცდილობენ, დასაწყისშივე აუცილებლად გამოკვეთონ ყველა შესაძლო შედეგი, რომელთა დადგომაც ურთიერთობის ნებისმიერი მიმართულებით განვითარების შემთხვევაშია შესაძლებელი.

შპს-ის სახელწოდებაში ჩართული სიტყვები - ,,შეზღუდული პასუხისმგებლობა" იწვევდა ერთგვარ გაუგებრობას საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. მოცემული სიტყვები ისე გაიგებოდა, თითქოს საქმე ეხებოდა პარტნიორების პასუხისმგებლობის შეზღუდვას შპს-ის კრედიტორების წინაშე. ამასთან, შეზღუდვის მოცულობა განისაზღვრებოდა შესატანის ოდენობით. ამგვარი მოსაზრება განმტკიცებული იყო აგრეთვე 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ქართულ კორპორაციულ სამართალში. სწორედ ამ პერიოდის კანონმდებლობაში, პირდაპირ იყო მითითებული, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეზღუდულია მისი შესატანის ოდენობით კანონის ამ ნორმას მხარს შპს-ის შესახებ მაშინდელი პირველი კომენტარიც უბამდა.[8]

სწორედ ასეთ დაცულ და გარანტირებულ პირობებში ახდენენ პირები ინვესტიციების განხორციელებას და კორპორაციების დაარსებას. პარტნიორის დაცვის უმთავრესი საშუალება კი განხორციელებული შენატანებით მათი პასუხისმგებლობის შეზღუდვაა. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ითქვას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივ რეგულაციებზე კვლევები ფართოდ არ არის ასახული სპეციალურ ლიტერატურებში, თუმცა არსებობს სტატიები, მოხსენებები რომლებსაც ძალიან ბევრი ქართველი მკვლევარი და სამართალმცოდნეობაში სპეციალიზირებული მეცნიერი გვთავაზობს. უნდა აღინიშნოს ლადო ჭანტურიას ნაშრომი ,,მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები", სადაც იგი ცდილობს აჩვენონ ყველა შესაძლებელი განსხვავებული გადაწყვეტილება, რომელმაც უნდა ხელი შეუწყოს მეწარმეთა გააქტიურებასა და ამით საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სიმდიდრის ზრდას. ნაშრომი სავსეა პრაქტიკაში მიღებული მაგალითებით და გულისხმობს თუ რას ნიშნავს სამეწარმეო საქმიანობა მკაცრ წესრიგსა და უმაღლეს პასუხისმგებლობას. კონკრეტულად ეს ნაშრომი და ეს წიგნი არის პირველი

[8]მჭედლიშვილი ნ., მიგრიაული რ., ,,შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (კრებული), თბილისი 1992 წელი, გვ.18-19.

ერთ-ერთი ძალიან კარგი მცდელობა სამოქალაქო სამართალში ქართულ ენაზე ამგვარი კომენტარის.[9]

1.2 სამეწარმეო სამართლის ცნება

კვლევის მანძილზე ხშირად გვხვდებოდა აზრთა სხვადასხვაობა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებსთან დაკავშირებით ასევე სამართლებრივი რეფორმებთან დაკავშირებით. „საქართელომ სამართლებრივი რეფორმების პროცესში სამართლიანად თქვა უარი ე.წ სამართლებრივ დუალიზმზე, თუმცა იყო მცდელობა დაესაუთებინათ სავაჭრო კოდექსის მიღების აუცილებლობა“.[10] ქეთევან ქოქრაშვილი თავის ნაშრომში კარგად ასახავს ქართულ პრაქტიკაში მიღებული და ცოდნითადა გამოცდილებით დაგროვილ შეხედულებებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებით.

გარკვეულ ეტაპებზე მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკამ განსაზღვრა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგრამ საერთოც ბევრი რამ გააჩნიათ. სამეწარმეო სამართალი ასევე იყენებს ე.წ რეკომენდაციის მეთოდს. იგი მდგომარეობს როგორც სამართალურთიერთობას ასევე სამეწარმეო საქმიანობის რაციონალურად ორგანიზებას. სამეწარმეო სამართლის მეთოდებში გამოირჩება ძირითადა სამი მნიშვნელოვანი ელემენტი: იმპერატიული რეგულირება, იმპერატიული და დისპოზიციური რეგულირების შერწყმა და დისპოზიციური რეგულირება.

სამეწარმეო პრინციპის მიხედვით, ამ საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ სი ფორმები, რომლებიც განმტკიცებულია კანონში, ანუ მეწარმეთა შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონი სამეწარმოე საქმიანოსი საფუძვლების შესახებ არ იცნობდა ამ პრინციპს[11].

---

[9] ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა 2002,13.
[10] ქოქრაშვილი. ქ „სამეწარმეო სამართალი“ გვ 15.
[11] რაც მოიხსენიება 11-ე მუხლში და განამტკიცებს ამ მოსაზრებას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბებას შედარებით ხანმოკლედ ისტორია აქვს, შეიძლება ითქვას რომ კომანდიტურ საზოგადოებაზე ან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე ბევრად უფრო ახალია. როგორც უკვე ავღნიშნეთ, გერმანელი კანონმდებლების მიერ იყო შექმნილი და რეალურად ისტორიული ანალოგი არ მოეპოვება, ცხადია პრაქტიკლადაც განკლები გამოცდილება ექნებოდა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმოშობა ორმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ გამოიწვია: ვინაიდან სს-ფორმა ბევრად უფრო რთული და პროცედურული იყო ამიტომ მისი ჩანაცვლება ლიბერალურით შედარბით კარგ ვარიანტად განიხილებოდა კანონმდებლობაში. ხოლო მეორე მიზეზად მიიჩნება პასუხისმგებლობების დაკისრების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების კანონმა ზოგადი სახით განამტკიცა სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, იგი დაბალი დონის კანონი იყო: მას პრეტენზია ჰქონდა მთლიანად მოეწესრიგებინა სამეწარმეო საქმიანობა. ამიტომ მასში თავმოყრილი იყო როგორც კონსტიტუციურ- სამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებიც. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესახებ აუცილებელი გახდა ცალკე კანონქვემდებარე აქტების მიღება[12]

საქართველოში მიღებული კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ჩანს მცდელობა, როგორც ცდილობს განიხილონ ის საკითხები, რომლებიც ეკონომიკისთვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია და ასეთი საშუალებით აღმოიფხვრას ყველა ნიუანსი და პრაქტიკაში ნაკლებად იყოს შეცდომით გამოყენებბული.

[12] რესპუბლიკა საქართველოს კანონთა კრებული „მეწარმეთა შესახებ“ თავი მეორე. გვ 135-137

1.3 შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოება საქართველოს ასპექტში.

საქართველოს კანონმდებლობაში და ქართულ სამართალში პირველად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც საწარმოს შემთხვევაში სამართლებრივი უცილებლობის ფორმა გამოჩნდა 1991 წელს. სწორედ ამ დროს საქართველოს კანონმდებლობაში იიღეს კანონი „ სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები“, რომელშიც შედიოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დროთა განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობასი მრავალლი ცვლილება და რეგულაცი იყო შეტანილი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული კანონებიდან გარკვეული პუნქტების ამოღებას გულისხმობდა. დაახლოებით მე-20 საუკუნის მიწურულს, 80-იან წლებში საქართველოში დაპიქსირდა რამდენიმე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსი სტრუქუტურის შექმნა, ანუ ერთობლივად იქმნებოდა საწარმოები და მათი კავშირი კანონმდებლობით შემოიფარგლებოდა ნორმატურლი აქტის საფუძველზე[13].

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კანონები მუდმივ რეფორმაც განიცდიდნენ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გამონაკლისი არ იყო.

თავდაპირველად მიღებული იყო, საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტის წინაშე შემოიფარგლებოდა მთელი მისი წილი ოდენობით[14], ხოლო მოგვიანებით, (დაახლოებით 1996 წლის მიწურულს) განხორციელებული

[13] სსრკ. 1990 წლის კანონი „ სსრკ-ში საწარმოების შსახებ“ მუხლი 2.

[14]საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ, გამომცებლობა JUS, თბილისი 1994.

ცვლილებებით მოცემული ცნებიდან ამოღებული იყო წინადადებიბს ბოლო ნაწილი, რომელიც მიუთითებდა პარტნიორის პასუხისმგებლობაზე[15].

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადობა - სიტყვათა ეს შეთანხმება თავდაპირველად გარკვეულ გაუგებრობასაც იწვევდა პარტნიორთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. მოცემული სიტყვები ისე გაიგებოდა, თითქოს საქმე ეხებოდა პარტნიორების პასუხისმგებლობის შეზღუდვას შპს-ის კრედიტორების წინაშე.

ამასთან, შეზღუდვის მოცულობა განისაზღვრებოდა შესატანის ოდენობით. ამგვარი მოსაზრება განმტკიცებული იყო აგრეთვე 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ქართულ კორპორაციულ სამართალში.

იმ დროისათვის კი კანონდებლობაში იყო მითითება, რომ პარტნირის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე იზღუდება შესატანის ოდენობის ასპექტში[16]. აქედან გამომდინარე 1994 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა შსახებ“, რომელიც 1995 წლის 1 მარტიდან შევიდა ძალაში.

კანონში მოიაზრებოდა შვილი ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმა. ესენია:

1. ინდივიდუალური საწარმო.
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. (შპს)
3. კომანდიტური საზოგადოება. (კს)
4. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. (სპს)
5. სააქციო საზოგადოება. (სს)
6. კოოპერატივი.
7. სახაზინო საწარმო.

გასათვალისწინებელია ის პაქტიც, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმირეა შეუძლია, როგორც რამდენიმეს ერთდროულად ასევე ერთ პირსაც. ხოლო დაფუძნება საკანონმდებლო დონეზე შესრულდება იურიდიული პირის სატუსის ინიჭებით[17].

---

[15]საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ,1997 წ. 5 იანვრის მდგომარეობით, თბილისი 1997, გამომცებლობა ,,სამართალი“

[16] კანონი ,,სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების“ შესახებ: 1991 წლის კანონი, მული 15, აგრეთვე დებულება ,,შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ, მუხლი 11

[17] კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 42.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები უპირველესად ადგენენ წესდებას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საფირმო სახელწოდება.

2. საზოგადოების ადგილსამყოფელი.

3. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი. თუ პარტნიორი იურიდიული პირია, მაშინ უნდა მიეთითოს მისი საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები.

4. საზოგადოების საქმიანობის საგანი.

5. მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;

6. საწესდებო კაპიტალის ოდენობა, მისი შევსების ფორმა, საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ

7. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, ფორმა, საბუთი განხორციელებული შესატანის თაობაზე და თითოეული პარტნიორის წილი.

8. წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

9. ყოველი დირექტორის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, აგრეთვე, მისი ყოველი წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი.

ვინაიდან თითოეულ ამ პუნქტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აუცილებელი პირობით უნდა შესტულდეს ყველა მათგანი. ამასთანავე საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია რეგისტრაციისათვის, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. საწარმოს უფლებები და მოვალეობები წარმოიშვება მხოლოდ საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან[18].

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებობა არ არის განპირობებული მხოლოდ და მხოლოდ წევრობის არსებობაზე, ანუ რეალურად თუ პირი დატოვებს, ანუ გამოვა პარტნიორობიდან, არ გულისხმობს ამ საზოგადოების დაშლას. ამასთანავე იგი შეიძლება დაარსოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა, ასევე

---

[18]მენაბდიშვილი ს., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სამოქალაქო სამართალი (ll) 1999,14

შპს-ს დამფუძნებელი ან პარტნიორი. შეიძლება სახელმწიფოც აღმოჩნდეს აქედან გამომდინარე ვხედავთ რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის პარტნიორების კაპიტალის გაერთიანება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგაოების დირექტორი არის საზოგადოების მმართველი ორგანო, რომლიც მოვალეობაში შედის საზოგადოების საქმეების ხელმძღვანელობა და არის შუამავალი, წარმომედგენელი პირი ამა თუ იმ მესამე პირთა წინაშე. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება როგორც კორპორაციად შეგვიძლია დავინახოთ მის გაერთიანებაში, რომელიც არ არის დამოკიდებული თავის პარტნიორებზე და არც მათ ინდივიდუალურ თვისებებზე. ამასთან, პარტნიორის სიკვდილი ან მისი გამოსვლა საზოგადოებიდან არ გამოიწვევს საზოგადოების არსებობის შეწყვეტას და მის დაშლას[19]. რაც შეეხება სამეთვალყურეო ორგანოებს, ეს ფაქტორის არანაკლებ მნიშვნელოვანია და აუცილებლად გასათვალისწინებელი, კანონით საწესდებო ავტონომია დაწესდა და სამეთვალყურეო საბჭოს ყოლის ან არ ყოლის არჩევის შესაძლებლობა პარტნიორებს მიეცათ, ვინაიდან, დირექტორი შპს-ს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი თანამდებობის პირი გახლდათ, რომლის მიმართ კეთილსინდისიერების და გულისხმიერების მოვალეობა დადგინდა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება ყველა პარტნიორს მიენიჭა. ეს კანონი შპს-ს პარტნიორად მხოლოდ ფიზიკურ პირს განიხილავდა. ამასთანავე, იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას სცდებოდა, ყველა პარტნიორის თანხმობას საჭიროებდა[20]. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოდ პარტნიორთა კრება დადგინდა, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შემდგარიყო[21].

რაც შეეხება მის კონტროლს წესდების მხრივ, მას გააჩნია მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები - პარტნიორთა კრება და დირექტორატი.

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში დაგროვდა უზარმაზარი გამოცდილება, რომელიც შესაძლებელს ხდის შექმნილიყო ერთიანი ნორმატიული აქტი, ამ სუბიექტის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის. მით უმეტეს, რომ სრულიად სამართლებრივად იქნა დასაბუთებული უცხოეთში მოქმედი ცალკეული კანონების იმპორტის უაზრობა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. ძალიან საინტერესოა და აუცილებლად უნდა აღინიშნოს

[19]ჭანტურია ლ., ,,შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“. გვ 302
[20]კოდექსი“მეწარმეთა შესახებ“ 22 -ე მუხლი 1-ლი პუნქტი.
[21]კოდექსი“მეწარმეთა შესახებ“ 41-ე მუხლი

ის ფაქტიც, რომ ეს გამოცდილება ყველაზე კონცენტრირებული სახით ქართულ კანონში ძალიან კარგად გამოიხატა. მასში განმტკიცებული ბევრი დებულება სრულიად უცხოა ჩვენი თეორიისა და პრაქტიკისთვის, მიუხედავად ამისა შიში ახლის დანერგვისა არ უნდა გახდეს ხელისშემშლელი ფაქტორი პროგრესისთვის.

თავი II. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებითი ანალიზი და მართვის ორგანოები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის ორგანოებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სავალდებულია იყოს მართვის ორი ორგანო. ესენია: პარტნიორები, როგორც საზოგადოების ნების ჩამომყალიბებელი ორგანო და ხელმძღვანელები, როგორც მოქმედი ორგანო[22]. პირი უნდა იყოს შეუზღუდავად ქმედუნარიანი პირი და მას არ უნდა გააჩნდეს თანამდებობის დაკავებისთვის ხელშემშლელი ფაქტორები, მაგალითად ნასამართლობა, თანამდებობის დაკავების აკრძალვა და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

დირექტორად შეიძლება დაინიშნოს როგორც პარტნიორები, ისე გარედან მოწვეული პირები. იმ შემთხვევაში, როცა შპს აქვს სამეთვალყურეო საბჭო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების დირექტორი[23]. დირექტორის დანიშვნის ვადას კანონი არ განსაზღვრავს ამიტომ დირექტორთა უფლებამოსილების ვადა იმ პარტნიორების გადასაწყვეტია, რომლებიც ნიშნავენ დირექტორს. ეს უკანასკნელი კი შეიძლება დაინიშნოს როგორც განსაზღვრული ვადით, ისე უვადოდაც.[24]

მნიშვნელოვანია გათვალისწინდეს ის ფაქტორიც, რომ დირექტორის დანიშვნა ხდება მხოლოდ პარტნიორების მხრივ სათანადო აღნიშვნის გაკეთების შემდგომ. არსებობს დირექტორის დანიშვნის მეორე ვარიანტი, რომელიც გუისხნობს პარტნიორების

[22] კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 15
[23]Hommelhof/Kleindiek in Lutter/Hommelhoff, GmbHG-Gesetz. Kommentar, (2004) 6 Rn 16.
[24]Hommelhof/Kleindiek in Lutter/Hommelhoff, GmbHG-Gesetz. Kommentar, (2004) 6 Rn 25.

გადაწყვეტილების გაკეთებას. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა შპს-ის სავალდებულო ორგანოს წარმომადგენელს სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და არა საზოგადოების პარტნიორები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგაოების დირექტორი არის საზოგადოების მმართველი ორგანო, რომლიც მოვალეობაში შედის საზოგადოების საქმეების ხელმძღვანელობა და არის შუამავალი, წარმომედგენელი პირი ამა თუ იმ მესამე პირთა წინაშე.

პასუხისმგებლობა არ ვრცელდება საკონსულტაციო საბჭოს წევრებზე, მსხვილ აქციონერებზე, მრჩევლებსა და სხვა თანამდებობის პირებზე მაშინაც კი, როცა მათ ფაქტობრივად ისეთი გავლენა აქვთ, როგორც გამგეობის წევრებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ფაქტობრივ ორგანოდ იქნენ მიჩნეულნი. პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ არც იმ პირებს, რომლებიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ნაცვლად იღებენ მონაწილეობას საბჭოს სხდომაზე ან წერილობით გადასცემენ საბჭოს წევრების ხმას. ეს აიხსნება მათი მხრიდან საზოგადოებასთან ორგანული კავშირის არ არსებობით.[25]

2.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც კორპორაცია და მეწარმეობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს: სამართალსუბიექტურობა, მეწარმეობა, კორპორაციულობა, კაპიტალურობა, საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობა, ხოლო კონკრეტული ნიშნებია: საწესდებო კაპიტალის შესატანად დაყოფა, პარტნიორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა საზოგადოების ვალდებულებებისათვის და სხვ. განვიხილოთ ეს ნიშნები.

[25]ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა ,,სამართალი" თბილისი, 2006 წ. გვ 140

ქართული სამართლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი [26] და მას აქვს საკუთარი ქონება, რომლითაც იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს. აქედან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც ერთგვარი სამართლის სუბიექტი არის ყველა უფლება-მოვალეობის მატარებელი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ასევე შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, ანუ მას ზოგადი უფლება უნარიანობის გარდა, გააჩნია პროცესუნარიანობაც. პროცესზე იგი წარდგენილი იქნება დირექტორის მიერ. ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები მიმართულია უშუალოდ შპს-ის და არა პარტნიორების ან დირექტორების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. თავისი სამართალსუბიექტურობიდან გამომდინარე, შპს არის აგრეთვე გაკოტრებადუნარიანი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება როგორც კორპორაციად შეგვიძლია დავინახოთ მის გაერთიანებაში, რომელიც არ არის დამოკიდებული თავის პარტნიორებზე და არც მათ ინდივიდუალურ თვისებებზე. ამასთან, პარტნიორის სიკვდილი ან მისი გამოსვლა საზოგადოებიდან არ გამოიწვევს საზოგადოების არსებობის შეწყვეტას და მის დაშლას[27]. გერმანიაში ასეთი სახის კაპიტალური გაერთიანებები, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება განიხილება როგორც კორპორაცია (Körperschaft).[28] გარდა ამისა შპს არის კაპიტალური საზოგადოება, ვინაიდან, პარტნიორის მონაწილეობა მასში დაფუძნებულია არა მათ პირად შრომაზე, არამედ კაპიტალის ჩადებაზე - თითოეულ პარტნიორს შეაქვს განსაზღვრული ქონებრივი შესატანი ანუ კაპიტალი საზოგადოებაში სპეციალურად ამისთვის შექმნილ კაპიტალში.

რაც შეეხება მის უფლებებს და პასუხისმგებლობებს, შპს პასუხისმგებელია არა მხოლოდ საწესდებო კაპიტალში არსებული ქონებით, არამედ სხვა ქონებითაც, რომელიც, არ არის შეტანილი საწესდებო კაპიტალში, მაგრამ საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს და განთავსებულია მის ბალანსზე, როგორც აქტივი. მთლიანი ქონებით შპს-ის პასუხისმგებლობა გამომდინარეობს მისი სამართალსუბიექტურობიდან. იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავისი ქონებით[29].

---

[26] კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 2.6

[27] ჭანტურია ლ., ,,შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“. გვ 302

[28] K. Schmidt, PG. 543 ff.

[29] მიგრიაული რ., შპს გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2004 წელი გვ20

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის დამახასიათებელია მეწარმეობა. მისთვის დამახასიათებელი ნიშნები კარგად შეგვიძლია დავინახოთ ქართულ სამართალშიც, მაგალითად: მოგების მიზანი, საქმიანობა მართლზომიერება და არაერთჯერადობა, დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა. აქედან გამოდინარე ქართული სამართალი არ განიხილავს მეწარმედ, თუკი იგი მრავალჯერადად, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად არ ახორციელებს რაიმე მართლზომიერ საქმიანობას, და იმავე დროს არ გააჩნია მოგების მიზანი[30].

ქართული სამართალი სამეწარმეო საზოგადოებების, მათ შორის შპს-ის საქმიანობის მიზნად მოგების მიღებას ასახელებს[31]. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა, ვინც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, აუცილებლად მეწარმეა.

აღსანიშნავია ის პაქრიც რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც მეწარმის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად და ორგანიზაციულად განხორციელება. დამოუკიდებლად განხორციელებაში იგულისხმება ის, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებ თავისი სახელით, აგრეთვე თავისი ქონებრივი რისკით იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაშიც იგი არ არის დამოკიდებული სამართლის სხვა სუბიექტების ნებაზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შპს-ს ორგანიზებულობას ვინაიდან მას გააჩნია განსაზღვრული მმართველობის ორგანოები, რომელთა მეშვეობითაც იგი ორგანიზებულად წარმართავს თავის სამეწარმეო საქმიანობას და ასევე მასში კანონით დადგენილი წესით არის ორგანიზებული საბუღალტრო საქმე[32].

მეწარმეთა შესახებ კანონში ჩამოთვლილი სამეწარმეო საზოგადოებები იმავდროულად საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს წარმოადგენენ[33] შესაბამისად, საწარმოდ განიხილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაც.

მიმდინარე პერიოდში არსებული მოწესრიგებით პარტნიორის პასუხისმგებლობა განსხვავებულად დგება იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორი ბოროტად არ გამოიყენებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. შესატანის სრულად

---

[30]კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“, მუხლი1.1
[31],,კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ 1996 წლის კანონი, მუხლი 2.
[32]მიგრიაული რ., შპს გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2004 წელი გვ 18
[33]კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 2.1.

შეუტანლობის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ შეუტანელი შესატანის ოდენობით. ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირს აქვს ბოროტი ზრახვა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში პარტნიორი სრულად აგებს პასუხს მაშინაც, კი როდესაც მას შესატანი სრულად აქვს შეტანილი.

მას აქვს საკუთრების უფლება, ამ საკუთრებაზე პასუხისმგებლობის გარეშე. მისი დაშვება არსებითი გადახვევაა საკუთრებისა და ხელშეკრულების იმ საუკუნეობრივი პრინციპებიდან, რომელზეც შპს-ის კონცეფციის შემოღებამდე ვაჭრობისა და ინდუსტრიის ზრდა იყო დამოკიდებული.

შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი პარტნიორის აქტივების საზოგადოების აქტივებისაგან განცალკევებასა და გამოყოფას განაპირობებს. საზოგადოებასა და მის პარტნიორებს შორის სქელი და გამჭირვალე ფარი - ,,კორპორატიული საფარველი" დგას. ამ ფარის გადალახვა და მასში შეღწევა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შეუძლებელია. სწორედ შპს-ის პრინციპი უბიძგებს პასიურ და გამოუცდელ ინვესტორებს, განახორციელონ ინვესტიციები, ნახონ სარგებელი დივიდენდების მიღებით, გაასხვისონ წილები საზოგადოების მენეჯმენტში პირდაპირი ჩარევისა და საკუთარი აქტივების რისკის ქვეშ დაყენების გარეშე. ამდენად, შეზღუდული პასუხისმგებლობა, კაპიტალის მოზიდვის ინსტრუმენტის" როლს ასრულებს.

2.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კერძო და საჯარო სამართლებრივ ასპექტებში

საქართველომ უამრავი რეფორმა გაიარა თავის განვითარების გზაზე როდესაც უკეთესობისკენ სწრაფვა გაიგვეული იყო ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება. ხოლო საქართველოს განვითარება სამართლის თავლსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რადგანაც სამართლებრივად დალაგებული და განვითარებული სახელმწიფო გულისხმობს მაღალ იდეოლოგიურ და კულტუროლოგიურ განვითარებას.

საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წლის 9 აპრილს და ამ აქტის მიღების შემდეგ სახელმწიფომ სხვადასხვა სფეროს მოწესრიგება დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტების მიღებით დაიწყო. სახელმწიფომ მე-20 საუკუნის უდიდესი ნაწილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის სამეფო შემადგენლობაში გაატარა, რის გამოც ახალი საკანონმდებლო აქტების შედგენის საკმარისი საფუძველი არ გააჩნდა. უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა სამეწარმეო სმართალს ვინაიდან სამართლის ეს ასპექტი და განვითარება დამახასიათებელია კაპიტალისტური ეკონომიკის მქონდე სახელმწიფოებისათვის[34]. აღსანიშნავია, რომ კანონი ,,სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" გაცილებით ფართო სპექტრს აწესრიგებდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონს უამრავი ხარვეზი ჰქონდა, ეს იყო პირველი ნომატიული აქტი, რომელმაც სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა გააერთიანა[35].

1994 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა ,,მეწარმეთა შესახებ" ახალი კანონი მიიღო. იგი სამეწარმეო საქმიანობის მიმართ ახლებულ მიდგომას წარმოაჩენდა და მასში გერმანული სული მძლავრობდა[36]. მძლავრობდა.[37]გარდა ამისა , ახალი კანონი მეწარმე სუბიექტების საქმიანობაზე იყო მთლიანად ორიენტირებული და სამეწარმეო საქმიანობასთან თანმკვეთ კანონმდებლობის მოწესრიგებას არ მოიცავდა. სახელმწიფომ დააწესა მკაცრი კონტროლი საწესდებო კაპიტალთან მიმართებით. საწესდებო კაპიტალის გაზრდა დაიშვებოდა მხოლოდ დამატებით შენატანის ან ახალი პარტნიორის შემოსვლის გზით, რაც სახელმწიფო რეესტრში უნდა დარეგისტრირებულიყო.[38]

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ მინისტრთა კაბინეტის დადგენილება საზოგადოების კრედიტორთა ინტერესების უზრუნველსაყოფად დამატებით ბერკეტებს აწესებს. საზოგადოებას სარეზერვო ფონდის შექმნა ევალებოდა. თუმცა არასაკმარისი სამართლებრივი მოწესრიგებისა და არასწორი საწარმო პრაქტიკის გამო, სავალდებულო საწესდებო კაპიტალმა ვერ გაამართლა, შესაბამისად ვერ

[34] „საომქალაქო კოდექსი" 2010 გ3 72.
[35]ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციოსარამთლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, რ. კნიპერისა და ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბ. 1996, 36.
[36]იქვე, მე-17 მუხლი.
[37]იქვე, მე-17 მუხლი.
[38]კოდექსი"მეწარმეთა შესახებ" მე-9.

იმოქმედა ისე, როგორც ეს გერმანიაში ხდებოდა და 2008 წლის 14 მაისის ცვლილებებით იგი ყველა კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში გაუქმდა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება ყველა პარტნიორს მიენიჭა. ეს კანონი შპს-ს პარტნიორად მხოლოდ ფიზიკურ პირს განიხილავდა. ამასთანავე, იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას სცდებოდა, ყველა პარტნიორის თანხმობას საჭიროებდა[39]. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოდ პარტნიორთა კრება დადგინდა, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შემდგარიყო[40].

რაც შეეხება სამეთვალყურეო ორგანოებს, ეს ფაქტორის არანაკლებ მნიშვნელოვანია და აუცილებლად გასათვალისწინებელი, კანონით საწესდებო ავტონომია დაწესდა და სამეთვალყურეო საბჭოს ყოლის ან არ ყოლის არჩევის შესაძლებლობა პარტნიორებს მიეცათ, ვინაიდან, დირექტორი შპს-ს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი თანამდებობის პირი გახლდათ, რომლის მიმართ კეთილსინდისიერების და გულისხმიერების მოვალეობა დადგინდა.

ყველაფერი რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ შეზუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება ემიჯნება მისი პარტნიორის ქონებას. პარტნიორის ერთადერთი უარყოფითი მხარე აუ გარკვეული ზარალი იმაში შეიზელბა დავინახოთ, რომ იგი კარგავს თავის შესატანს, რომელსაც საზოგადოება გამოიყენებს თავისი ვალების დასაფარავად.

პარტნიორს შეუძლია მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში მიიღოს ეს ქონება ნატურით, თუკი იგი, რა თქმა უნდა, სახეზეა, ანდა მოითხოვს შეტანილი ქონების ღირებულების ექვივალენტი ფულადი თანხა.

ამრიგად, პარტნიორი არავითარ ქონებრივ ზარალს თუ უფლებრივ დანაკლისს არ განიცდის საზოგადოების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებისას - მას როგორ პარტნიორს პასუხს არავინ მოსთხოვს.

[39]კოდექსი“მეწარმეთა შესახებ“ 22 -ე მუხლი 1-ლი პუნქტი.
[40]კოდექსი“მეწარმეთა შესახებ“ 41-ე მუხლი

2.3 შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

დღესდღეობით ქართული სამართალი შედარებით მოწესრიგებულია და მაინც ხშირად ვხვდებით გარკვეულ ნიუანსებს ნორმატიულ აქტებში. როგორც უკვე აღინიშნა შპს კაპიტალის გაერთიანების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების საქმიანობაში თავის წევრთა უშუალო მონაწილეობას არ მოითხოვს.

შზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა გამოიწვია განსაკუთრებული სიმარტივით აგებული სამართლებრივი მმართველობა. ქართულ სამართალში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არა ერთხელ განიცადა რეფორმა თავისი განვითარების გზაზე, ეს კი თავის თავად გულისხმობს იმას რომ კანონმდებლები საქართველოში მუდმივად ცდილობდნენ მის დახვეწას და ყველანაირი უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი ნიუანსების აღმოფხვრას მაქსიმალურად უმოკლეს დროში, რადა პრაქტიკაში არასასურველი შედეგების რაოდენობა მაქსიმალურად ნაკლები ყოფილიყო.

ქართული შამართლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი [41] და მას აქვს საკუთარი ქონება, რომლითაც იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს. აქედან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც ერთგვარი სამართლის სუბიექტი არის ყველა უფლება-მოვალეობის მატარებელი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ასევე შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, ანუ მას ზოგადი უფლება უნარიანობის გარდა, გააჩნია პროცესუნარიანობაც. პროცესზე იგი წარდგენილი იქნება დირექტორის მიერ. ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები მიმართულია უშუალოდ შპს-ის და არა პარტნიორების ან დირექტორების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. თავისი სამართალსუბიექტურობიდან გამომდინარე, შპს არის აგრეთვე გაკოტრებადუნარიანი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართალ-

[41] კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 2.6

სუბიექტურობა იწყება შესაბამის რეესტრში მისი რეგისტრაციისთანავე, რაც მის აუცილებლობას წ არმოადგენს.

თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანაში მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია საჯარო ორგანოების მიერ ხდება. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ შპს-ს არასრულწლოვანი პირის მეწარმედ ყოფნა იკრძალებოდა[42].

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გარკვეულწილად თავისი ხასიატით გამოირჩევა, ანუ იგულისხმება მისი პრინციპულობა კანონის წინაშე. აბსოლიტურად ყველა პარტნიორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწიოს კრება. ყველა პარტნიორს ნებისმიერ დროს შეუძლია, საზოგადოებრივი ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვოს. პარტნიორის მიერ მოვალეობების დარღვევის შემთხვევაში, სხვა პარტნიორებს აქვთ უფლება, რომ სასამართლოს გზით პარტნიორი გარიცხონ.

1994 წლის ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონის თავდაპირველი რედაქცია შპს-ს პარტნიორებს საკუთარი წილის შეძენას, აგრეთვე, საზოგადოების ნებართვის გარეშე წილის ნაწილობრივ გასხვისებას მკაცრად უკრძალავდა, ხოლო წილის დათმობისთვის სანოტარო დამოწმების ვალდებულება იყო დადგენილი.[43]

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე და ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, სამეწარმეო კანონმდებლობის განვითარების ისტორიაში სამი ეტაპის გამოყოფა შეიძლება. ესენია:

1. პირველი ეტაპია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1991 წლის 25 ივნისიდან და გრძელდება 1994 წლის 28 ოქტომბრამდე. ამ ეტაპისთვის აშკარაა, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციები არასაკმარისი და ხარვეზიანია, რადგან ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ღიად ტოვებს თავისთავად.
2. ახალი ეტაპი პარლამენტის მიერ 1994 წლის ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღებით იწყება. ეს კანონი გერმანული სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების ჰიბრიდი იყო.
3. მესამე ეტაპი კი 2008 წლის 14 მარტს კანონში განხორციელებულ ფუნდამენტურ ცვლილებებს უკავშირდება. კანონი, მეტწილად კერძო ამართლებრივ საწყისებზე გადადის და დამატებითი, ალტერნატიული მოწესრიგების ფუნქციას იძენს.

[42] კანონი მექარმეთა შესახებ. მე-5 მუხლი.
[43] კანონი მეწარმეთა შესაებ. 46-ე მუხლი

თავი III. შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ანალიზი როგორც საკანონმდებლო რეფორმა

მანამ, სანამ გადავალთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივ ანალიზზე, აუცილებლად უნდა შევეხოთ რამდენიმე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხევს საკანონმდებო ორგანოებთან დაკავირებით, ვინაიდან სწორედ სამართლებრივი ასპექტი არის სწორედ ის მნიშვნელოვანი ღერძი, რომელზეც მომავალში იგება მთელი სტრუქტურა.

ერთ-ერთ უმნიშვნეოვანეს საკითხს წარმოადგენს ქვეყანაში არსბული ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგადი შეფასება, რადგან მათი რეგულირებისას ჩნდება რიგი ისეთი შეკითხვებისა, რომლების დახმარებითაც შესაძლოა მოხდეს მათი შეფასება, მაგალითად როგორია ბიზნეს გარემოს შეფასება არსებული კანონმდებლობის მიხედვით ან ბიზნეს გარემოს შეფასება არსებული კანონმდებლობის პრაქტიკული აღსრულებით და ა.შ. ქვეყანაში არსებული ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის არქმის ხარისხი საყურადღემო საკითხია.

დღევანდელ დღეს მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ურთიერთ ინტეგრაციის ტენდენციები გააპირობებ საერთო ჯამში იმ ცოდნის აუცილებლობას რაც დღევანდელ დღეს სამართლებრივი განათლებით არის შესაძლებელი. არსებობს სისტემური განსხვავებები რომლებიც დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და პოლიტიკურ ეკონომიკური

გავლენის ქვეშ მოექცა. ხოლო რაც შეეხება სხვაობა და თავისებურებები კი მრავალ ისეთ საკითხს წარმოშობს, რომელსაც ესაჭიროება გადაწყვეტა.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უდიდესი გავლენა იქონია და შეიძლება ითქვას სწორედ ამან წინა პლანზე წამოწია სამეწარმეო საქმიანობის ახალი ფორმები, რომელთა შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოებებს, ასევე მათ შორის უნდა აღინიშნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უმნიშვნელოვანესი როლი. დღევანდელ დღეს ქართულ სამართალში აშკარად და საკმაოდ მარტივად შეიმჩნევა ნორმატიულ აქტებში ასახული მოსაწესრიგებელი ობიექტების ცნებების ტენდეცია. ასევეა სამეწარმეო სამართალშიც, სადაც გადმოცემულია ყველა საზოგადოების, მათ შორის შპს-ის ლეგალური დეფინიციაც.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პრინციპს განმარტავს და უფლება-მოვალეობებს განუსაზღვრავს კანონი მეწარმეთა შესახებ. ამავე კანონით რეგულირდება მისი რეგისტრაციისა და გაუქმების წესებიც. როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაარსების პროცედურა უფრო მარტივი და ლიბერალურია, ვიდრე სხვა საზოგადოების, ამიტომ მის მიმართ ინტერესიც საზოგადოებაში ყოველთვის იყო და არის დიდი. სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების შედარებით ჭრილში იქნება წარმოჩენა ცალსახად გვიჩვენებს რა მნიშველობის მატარებელია იგი.

აქვე უნდა ითქვას რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნებამ საქართველოს კანონმდებლობაში და ქრთულ სამართალში არა ერთხელ განიცადა სერიოზული რეფორმა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნების ცვლილება კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველ კანონმდებელთა წარმატებულ მცდელობას კაგად ასახონ და გვიჩვენონ საზოგადოების სამართლებრივი რადიკალიზმი და სტულყოფილებისაკენ ლტოლვა.

3.1 გერმანიისა და რუსეთის შედარებითი ანალიზი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართალში

ცნობილია რომ სხვა დასხვა ქვეყანაში მიღებული სამართლებრივი კანონი მეწარმეთა შესახებ ერთმანეთისგან შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებოდეს, მისი შემადგნენელი ნაწილებით და პრაქტიკაში მიღებული საკანონმდებლო წესდებებით.

მათ უდიდესმა უმრავლეობასმ ისევე როგორც ქართული სამართლის შემთხვევაში, მანამ სანამ მიიღებდა ასე თუ ისე ნორმალურ და ყველასათვვის მისაღებ იერსახეს, განვითარების დიდი და რთული გზა განვლო.

პრაქტიკიდანგამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელშეკრულებებში და წესდებებში შეიძლება არსებობდეს დებულება იმის შსახებ, რომ პარტნიორის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თვით ამ საზოგადოების დანარჩენ პარტნიორებს ხოლო საზოგადოების პარტნიორი უფლებამოსილია გაასხვისოს ჯერ კიდევ ბოლომდე შეუვსებელი წილი, ოღონ იმ მოცულობით, რაც უკვე შეტანილი აქვს ანუ ამ შემთხვევაში რაც უკვე გადაიხადა [44].

საქართველოს კანონმდებლკა კრძალავს საზოგადოების მიერ პარტნიორის წილის შეძენას. აღნიშნული აკრძალვა ეყრდნობა დებულებას, „საზოგადოება არ შეიძლება იმავდროულად იყოს თავისი თავის პარტნიორი“[45]

რუსეთის კანონმდებლობით, საზოგადოების პარტნიორები, ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია წერილობით შატყობინოს დანარჩენ პარტნიორებს გადაწყვეტილებათა წილის ან მისი ნაწილის გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე მან უნდა მიუთითოს ფასსა და იმ პირობებზე, რომლის საფუძველზე ყიდის წილს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორები ერთი თბის განმავლობაში არ ისარგებლებენ წილის უპირატესი შესყიდვის უფლებით, პარტნიორი ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილია სტულყოფილად, გაყიდოს წილი იმ ფასში და იმ პირობებით, რაც შეტყობინებაში აღნიშნული[46]. რუსეთის ფედერალური კანონმდებლობით საზოგადოება

[44] ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. გვ 133
[45] ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. გვ 145
[46] ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. გვ 202

უფლებამოსილია სუფთა აქტივების ხარჯზე, რომელიც სცილდება საწესდებო კაპიტალის მოცულობას, შეიძინოს საკუთარი პარტნიორის წილი. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების წესდება კრძალავს პარტნიორის მიერ წილის დათმობას, ხოლო დანარჩენი პარტნიორები უარს აცხადებენ მის შეძენაზე ან თუ პარტნიორები უარს გამოთქვამენ წილის მესამე პირზე გადაცემის შესახებ. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებამ პარტნიორს უნდა გადაუხადოს წილის რეალური ღირებულება, რაც ბოლო საანგარიშო წლის პერიოდში საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით განისაზღვრება[47].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებასაც, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებით სახეცვლილ ვერსიას წარმოადგენს და მისი ერთი მნიშვნელოვანი თვისება ის არის, რომ ერთ ერთი მონაწილის გაკოტრების შემთხვევაში, მისი დამატებითი პასუხისმგებლობა უკლებლივ ყველა დანარჩენ მონაწილეებზე ნაწილდება, ამიტომ კრედიტორთა დამატებითი გარანტიის საერთო თანხა შესაბამისაც უცვლელი რჩება.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექში ბევრი განმასხვავებელი რამ გვხვდება რაც დიდი ყურადღებას იქცევს. ერთ ერთი ასეთი რამ გახლავთ ის რომ რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს წესებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგაეოების ქონების ფონდის შესახებ. ანუ ასეთი საზოგადოების ქონებრივი განცალკევებულობის საფუძველს წარმოადგენს მისი საწესდებო კაპიტალის გარკვეულ წილს ფლობენ და ამასთანავე აქვთ უფლება დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება მოითხოვონ.

ზოგადად რუსეთის სამართლის კოდექსი ძალიან დიდ ხანს ვითარდებოდა და ძალიან დიდხანს ღებულობდნენ გადაწყვეტილებად მიეღოთ თუ არა სამოქლაქო კოდექსი, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ვერ მოხერხდა ამ იდეის ხორცშესხმა, ვინაიდან სიტუაცია ქვეყნიშ შიგნით ცვალებადი იყო რევოლუციების გამო.[48] ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი აუცილებელ პირობად ითვალისწინებს ითვალისწინებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების იმ ორგანოების არსებობას, რომელიც გამოხატავენ მისი, როგორც იურიდიული პირის ნებას. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, დაუყონებლივ უნდა შემუშავებულიყო და და

[47] ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. გვ 78

[48] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომცემლობა სამართალი, თბ. 2000. გ 33

მიღებულიყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დადგენილი წესდება, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, ამ პრობლემასაც გადაჭრის, რაც შეეხება დამფუძნებლის ნებას საზოგადოების შექმნისა და მასში მონაწილეობის პირობების შესახებ, იგი გამოიხატება დამფუძნებლების ხელშეკრულებაში.[49]

არანაკლებ მნიშვნელოვანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდურობის საკითხი, რომელიც შესაძლებელია მონაწილეთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილბების საფუძველზე მოხდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მისი მონაწილეთა საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საკითხები[50]. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ქონების ფონდს შესახებ არ შეიცავს კონკრეტულ წესებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებით და სორედ ამიტომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების მინიმალურ ოდენობას, რომელის შპს-ის კრედიტორთა ინტერესების გარანტს წარმოადგენს.[51]

გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი არ შეიძლება იყოს იმ თანხაზე ნაკლები, რომელიც განსაზღვრულია კანონის მიხედვით და საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მისი საწესდებო კაპიტალის შექმნაში შესატანების შეტანის გზით და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს ამ მოვალეობისაგან მათი გათავისუფლება.

რაც შეეხება გერმანიის კოდექსს და მასში შეტანილ რეფორმებს, ცნობილია თუ რა მდენი ცვლილება გაიარა და რამდენად დიდია მისი პრაქტიკა ამ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. გერმანული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ცნობილია როგოც LLC ხოლო ოფიციალურად ოფიციალურად სახელწოდებით "Gesellschaft mit beschränkter Haftung", და მისი აბრევიატურა „GmbH“. გერმანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ძალაში შევიდა

[49]ხუციშვილი ქ. სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები 1999 წ. გვ 16
[50] კანონი „მეწარმეთა შესახებ“
[51]ხუციშვილი ქ. სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები 1999 წ. გვ 22

ნოემბრიდან 1, 2008, რომელიც მართავს ყველა LLC ფორმირების, რეგისტრაციის, საქმიანობისა და დაშლის შესახებ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთხელ რომ სრულად ქართული სამართალი და კანონი მეწარმეთა შესახებ დაფუძნებუია გერმანული კანონის იდეოლოგიით და გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა ქართული სამართლის გავითარებაში. მაგრამ ქართული სამართლისაგან განსხვავებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კონკრეტულად გერმანულ კანონში ცალკე მოცემული ცხადია არ არის ცნება როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას რომ ხელი გერმანელი მეცნიერებისათვის ამას არ შეუშლია და საკმაოდ კარგად მოხდა ყოველივე ამის სხვადასხვა ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება[52]. კანონის შემოღების შემდეგ შპს სწრაფად გავრცელდა გერმანიის მთელ ტერიტორიაზე. ეს ფორმა მალე გავრცელდა როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამართალში.[53]

ისევე როგორც ქართულ, ისე გერმანული სამართლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ერთგვარი იურიდიული პირი და მას, როგორც კონკრეტულ იურიდიულ პირს აქვს საკუთარი ქონება, რომლითაც იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე. სწორედ ამიტომ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც სამართლის სუბიექტი არის ყველა უფლებისა და მოვალეობის მატარებელი, რაც გამოსავალს პოულობს ზოგად უფლებაუნარიანობაში.

ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე, შპს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი, მათ შორის წესდებით გაუთვალისწინებელი საქმიანობა, იქცეს ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ისე, რომ მისი წესდება არ უთითებდეს ასეთი მონაწილეობის სახეობასა და ფარგლებზე[54].

რაც შეეხება ქართულ სამართალს, მასში შპს ახასიათებს როგორც სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეს, ანუ მეწარმეს, ხოლო გერმანული სამართალი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიიჩნევს სავაჭრო საზოგადოებად, რაც სავსებით მართებულია. რა თქმა უნდა, სავაჭრო საზოგადოება ზოგადი ცნებაა იმ საზოგადოებათა

---

[52] მიგრიაული რ., შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებით ანალიზი ინზოლვენცის გერმანულ სამართალთან) თბილისი 2004 გვ.14

[53]ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ.1997, გვ. 295-296

[54]მიგრიაული რ., შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებით ანალიზი ინზოლვენცის გერმანულ სამართალთან) თბილისი 2004 გვ

დასახასიათებლად, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, ანუ წარმოადგენენ მეწარმეებს.

ქართული სამართალი მეწარმის დასახასიათებლად ჩამოთვლის რამდენიმე ნიშანს. ეს ნიშნებია:

1. მოგების მიზანი
2. საქმიანობა მართლზომიერება
3. არაერთჯერადობა
4. დამოუკიდებლობა
5. ორგანიზებულობა

აქედან გამომდინარე, ქართული სამართალი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას არ განიხილავს მეწარმედ, თუკი იგი მრავალჯერადად, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად არ ახორციელებს რაიმე მართლზომიერ საქმიანობას, და იმავდროულად არ გააჩნია მოგების მიზანი.

მიუხედავად ამისა ქართულ და გერმანულ სამართალს შორის მაინც არის მნიშვნელოვანი განსხვავება. ეს განსხვავება მდგომაეობს საქმიანობის მიზანში. ქართული სამართალი მიზნად მოგებას ასახელებს სამეწარმეო საზოგადოებების შემთხვევაში, ხოლო რაც შეხება გერმანულ სამართალს, იგი მეწარმეს არ შემოზღუდავს რაიმე კონკრეტული მიზნით.

გერმანულ კანონებში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უმთავრეს მიზანი შიეძლება იყოს ნებისიერი კანონით ნებადართული მიზანი, განურჩევლად ყველა. აქედანგამომდინარე ისიც არის დასშვები რომ კონკრეტული მეწარმე არ იყოს მიზანმიმართული მოგებაზე და მისი მამოძრავებელი ზრახვები მხოლოდ იყოს ორიენტირებული საქმიანობის განსახორციელებლად. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაუქმების ინსტიტუტი საფუძვლიანად არ არის დამუშავებული, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა.[55] გერმანისი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ასევე იქმნება საჯარო ამოცანების პრობლემების აღმოსაფხვრელად და მათ განსახორციელებლად. გერმანული სამართალი და თეორია არ გულისხმობს შპს

[55]მიგრიაული რ., ,, სამეწარმეო საქმიანობა: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან), ჟურნალ ,,საქართველოს ნოტარიატი“, 2002 წელი N1(5), გვ 39-50.

გაუქმებით მისი არსებობის საბოლოო დასრულებას. გაუქმება შეიძლება მიზეზად იქცეს, საზოგადოების არსებობის დამთავრებას, მის სრულ მოსპობას. კაპიტალურ საზოგადოებაში გაუქმება გამოხატულებას პოულობს, ერთი მხრივ, გაუქმების ან გაუქმების შედეგების მქონე გადაწყვეტილების არსებობაში, ხოლო მეორე მხრივ გაურკვეველი ცდომილების დადგომაში. გაუქმების მეშვეობით შპს ასე უბრალოდ არ ქრება ჰაერში. გაუქმებით როგორც უკვე აღინიშნა, იქმნება სამართლებრივი წინაპირობა იმისთვის, რომ შპს ორგანიზებულად მივიდეს თავისი არსებობის დამთავრებამდე და სამართლებრივად სრულ მოსპობამდე[56].

გაუქმება, როგორც სამართლის თვითმყოფადი ინსტიტუტი, არ არის დამუშავებული აგრეთვე ქართული საკორპორაციო ლიტერატურაშიც. თუმცა, არის მცდელობა იმისა, რომ საზოგადოების გაუქმების ინსტიტუტი გადმოცემული იქნეს ისეთი ტერმინებით, როგორიცაა ,, საზოგადოების დაშლა“ ან ,,საზოგადოების შეწყვეტა“[57].

საყურადღებოა ის მნისვნელოვანი ფაქტიც, რომ კონკრეტულად გერმანულ სამართალში ლიკვიდაციისა და გაუქმებას გააჩნია პრაქტიკული ხაიათი. ანუ მაგალითად ლიკვიდაცია წარმოადგენს პრაქტიკულ ღონისძიებებს რომელიც თავის მხრივ აუცილებლად უნდა იყოს განხორციელებული ლიკვიდატორის მხრიდან, ხოლო გაუქმების შემთხვევაში კი პირიქით.

მათ განსხვავებულობას აგრეთვე განაპირობებს ის გარემოებაც, რომ გაუქმების პროცესის მონაწილეებად გვევლინებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი ან სასამართლო, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას გაუქმების შესახებ, ხოლო ლიკვიდაციის ძირითად მონაწილედ გვევლინება ლიკვიდატორი, რომელი შეიძლება იყოს ან შპს-ის დირექტორი ან ვინმე კომპეტენტური მესამე პირი.

---

[56]მიგრიაული რ., ,, სამეწარმეო საქმიანობა: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან), 2002 წელი N1(5), გვ 52-70.

[57]ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 1-ლი გამოცემა, თბ. 1996 გვ141-142 აგრეთვე იგივე, მე-2 გამოცემათბ. 1998, გვ.180-181,249

3.2 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ევროპული და ამერიკული შედარებით სამართლებრივი ანალიზი

ევროპასა და ამერიკაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებობამ საუკუნეს გადააჭარბა. მათ ისევე როგორც საქარტველოს, რუსეთსა და გერმანიასი მრავალი რეფორმა გაიარა სანამ რელევანტურ სახეს მიიღებდა. მკვლევარებსა და ისტორიკოსებს შორის რომლებიც სპეციალიზირდებიან სამართალმცოდნეობაში, არ არსებობს კონსესუსი დასავლეთ ევროპაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრების ზუსტი თარიღის შესახებ.

კონკრეტულად ინგლისსში მე19 საუკუნის ბოლო პერიოდიდან დაიწყო განვითარება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსი ტიპის სისტემების ჩამოყალიბება და მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ამერიკაზე გაცილებით უფრო ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მე19 საუკუნის პირველ ნახევარში, ის მნიშვნელოვნად ჩამორჩა ამერიკის შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარებაში. აქედან გამომდინარე შესაბამისად, ამ პერიოდში შტატების უმრავლესობაში საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტური და უმნიშვნელოვანესი პრინციპი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობა.

ევროპის მასშტაბით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საყოველთაო ხასიათის აღიარება მოხდა 1989 წლის მე-12 საკორპორაციო დირექტივით, რომელმაც დაავალდებულა წევრი სახელმწიფოები ნაციონალური კანონმდებლობით უზრუნველყოს

პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემოღება ისეთი ერთი პირის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციული ფორმისთვის, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებდა თავად ეწარმოებინა ბიზნესი.[58]

მსოფლიოს ინდუსტრიულ რევოლუციის პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში იყო. ამიტომ ამ პერიოდში, რუსეთის იმპერიის საკანონმდებლო რეგულირება შეიძლება განვიხილოთ ქართული კაპიტალური საზოგადოების რეგულირების სამართლებრივ საფუძვლად. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრების საბოლოო ეტაპს საქართველოში წარმოადგენს 1991 წელი, როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მცირე პერიოდში შემუშავებულ იქნა საკორპორაციო სამართლის ნორმატიული ბაზა.[59]

მაგალითად საფრანგეთში მე18 საუკუნის 80იანი წლებიდან დაიწყო მსგავსი სისტემების ჩამოყალიბება და ეს ტენდენცია საკმაოდ დიდიხანს გაგრძლედა. 1807 წლის საფრანგეთის სავაჭრო კოდექსმა მოახდინა მოდიფიკაცია, რის შედეგადაც სააქციო საზოგადოების მიმართ შესაძლებელი გახდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის გავრცელება[60].

საკვლევი მასალიდან გამომდიარე ვხედავთ რომ ინგლისში მხოლოდ მე-19 საუკუნიდან დაიწყო შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება. საბოლოოდ კი, ევროპის მასშტაბით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საყოველთაო ხასიათის აღიარება მოხდა 1989 წლის მე-12 საკორპორაციო დირექტივით, რომელმაც დაავალდებულა წევრი სახელმწიფოები ნაციონალური კანონმდებლობით უზრუნველყო პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემოღება ისეთი ერთი პირის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციული ფორმისთვის, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებდა თავად ეწარმოებინა ბიზნესი. შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი დირექტივის მიღებამდე მხოლოდ იმ ორგანიზაციული ფორმისთვის გამოიყენებოდა, რომლის ფარგლებშიც, ინვესტორი-პარტნიორი ასრულებდა პასიურ როლს, და არ ერეოდა კორპორაციის მენეჯმენტში[61].

---

[58] ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. 2002

[59]ლაზარაშვილი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგულირების ისტორია, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნ. ალმანახი N 5 1998, 10.

[60] ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი 2002

[61]ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. 2002.
სამეწარმეო სამართლის ისტორიის კომენტარები. გვ 327

როგორც ვხედავთ სეზღუსული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ განვლო ძალიან რთული განვითარების გზა და მის ისტორიულ კვლევებში სავსებით ამართლებს მის დღევანდელ იერსახეს და დემოკრატიის საფუძველს.

დასკვნა

ნათლად ვხედავთ თუ რა მნივნელოვანია სამართლებრივი საკითხვების დაწვრილებით შემუშავება და მათი საჭიროების შემთხვევაში რეფორმირება, იმისათვის რომ სახელმწიფოში იმუშაოს რეალურად გამართულმა და სწორდმა სამართლებრივმა სისტემამ. არსებობს არა ერთი პუბლიკაცია, სადაც მკვლევარები აფიქსირებენ შეედულებებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივ რეგულაციებთან და კვლევებთან დაკავშირებით. ნაშრომის წერისას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა როგორც ლადო ჭანტურიას სამართლებრივ ლიტერატურას, ასევე ქეთევან ქოქრაშვილისა და როინ მიგრიაულის შეხედულებებსა და კვლევებს ამ თემის გარშემო.

უმნისველოვანესია გავიაზროთ იმ სისტემების მსგავსება განსხვავებები რომლებიც წარმოადგენენ ქართული სამართის ფუძეს და რომლებიც განპირობებულია ქვეყნის პოლიტიკურ ეკონომიკური ფაქტორებით. ეს განსხვავებები კი ეს ბევრ ისეთ საკითხს წარმოქმნის, რომლებსაც გადაწყვეტა ესაჭიროება.

ერთ-ერთ უმნიშვნეოვანეს საკითხს წარმოადგენს ქვეყანაში არსბული ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგადი შეფასება, რადგან მათი რეგულირებისას ჩნდება რიგი ისეთი შეკითხვებისა, რომლების დახმარებითაც შესაძლოა მოხდეს მათი შეფასება, მაგალითად როგორია ბიზნეს გარემოს შეფასება არსებული კანონმდებლობის მიხედვით ან ბიზნეს გარემოს შეფასება არსებული კანონმდებლობის პრაქტიკული აღსრულებით და ა.შ. ქვეყანაში არსებული ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის არქმის ხარისხი საყურადღემო საკითხია.

დღევანდელ დღეს მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ურთიერთ ინტეგრაციის ტენდენციები

გააპირობებ საერთო ჯამში იმ ცოდნის აუცილებლობას რაც დღევანდელ დღეს სამართლებრივი განათლებით არის შესაძლებელი. არსებობს სისტემური განსხვავებები რომლებიც დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და პოლიტიკურ ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოექცა. ხოლო რაც შეეხება სხვაობა და თავისებურებები კი მრავალ ისეთ საკითხს წარმოშობს, რომელსაც ესაჭიროება გადაწყვეტა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ყველაზე აქტიურად განხილვადი ინსტიტუტია და მოცემული ნაშრომი, სწორედ ამ ფუნდამენტური საკითხის სისტემათა შედარებით ჭრილში ანუ გამოიკვეთილიყო შეზღუდული პასუხისმგებლობი, როგორც სამართლის მთავარი პრინციპის არსი, რაც ნაშრომში არა ერთხელ იყო დამტკიცებული სხვადასხვ ავტორების მიერ შემოთავაზებული პრაქტიკაში მიღებული მასალებით.

ცხადია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი კანონში ან სრულებით არ არის დარეგულირებული, ან შესაძლოა მდენად ბუნდოვნად და თუნდაც ზოგადად არის ჩამოყალიბებული, რომ რეალურად პრაქტიკაში შპს-ს ხშირად პრობლემები ექმნებათ მათი გამოყენებისას. ყოველივე ამასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობას ან დაახლოების პროცესიც, რომლის შედეგადაც უამრავი შეუსაბამობა და ხარვეზი ვლინდება. ასევე სასამართლო პრაქტიკის არსებობის მიუხედავად, პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით ჩნდება უამრავი კითხვა.

აღსანიშნავია ის პაქრიც რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც მეწარმის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად და ორგანიზაციულად განხორციელება. დამოუკიდებლად განხორციელებაში იგულისხმება ის, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებ თავისი სახელით, აგრეთვე თავისი ქონებრივი რისკით იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაშიც იგი არ არის დამოკიდებული სამართლის სხვა სუბიექტების ნებაზე.

ამასთანავე მნისვნელოვანია იმისთვის, რომ უფრო სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი კაპიტალური საზოგადოების გაუქმება, საჭიროა მისი შედარებით სხვა რაკურსით დანახვა არამხოლოდ ლიკვიდაციის ინსტიტუტთან, არამედ გერმანულ სამართალში თეორიასა და პრაქტიკაში დეტალურად დამუშავებულ და აპრობირებულ ინსტიტუტებთან.

ნაშრომში არა ერთხელ აღინიშნა ის, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის ქვეშ მოქცეული სისტემა და რომ მას გააჩნია რიგი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობებისა რომლებიც გაწერილია კანონებში, როგორც „ მეწარმეთა შსახებ“ ასევე საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლბაში.

საბოლოოდ კი შეგვიძლია გავაკეთოთ დასვკნა რომ მიუხედავად იმისა რომ ბიზნეს საქმიანობის დაწყება და შემოსავლის ამ სფეროთი გაზრდა თითქმის ყველა ადამიანს სურს, აუცილებელია გათვითცნობიერებულნი იყვნენ ყველა საკითხში და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უფლებამოსლებითა პასუხისმგებლობის დაკისრების მიხედვით გადაწყვეტილებების მიღება.

გამოყენებითი ლიტერატურა:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ,1997 წ. 5 იანვრის მდგომარეობით, თბილისი 1997, გამომცებლობა ,,სამართალი“
2. საქართველოს „კანონი მეწარმეთა შესახებ“
3. საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“ 1994 წელი - N21-22 თავის მესამე, შეზღუდულიპასუხისმგებლობის საზოგადოება, მუხლი 44. ცნება
4. კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“ 1994 წ. მუხლი 2.1.
5. საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“ თავის მესამე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მუხლი 46
6. კანონი ,,მეწარმეთა შესახებ“ 1994 წ. მუხლი 2.1.
7. ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. 2002. გვ 37
8. ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. 2002. სამართლის ისტორიის კომენტარები. გვ 327- 329
9. მიგრიაული რ. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა 2002,13.
10. მიგრიაული რ. ,,საქართველოს ნოტარიატი“, 2002 წელი N1(5), გვ 39
11. მიგრიაული რ., შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებით ანალიზი ინზოლვენცის გერმანულ სამართალთან) თბილისი 2004 გვ34.
12. წარმოშობა საქართველოში ს. ჯორბენაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულში, რ. კნიპერისა და ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 1996.
13. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა ,,სამართალი“ თბილისი, 2006 წ. გვ 137.
14. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., ,,მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა თბ. 1998, გვ. 4
15. ჭანტურიალ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში.295-296 გ.
16. ჭანტურიალ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. 34გვ.